



17-ე განყოფილება –
ძირითადი საშუალებები

განსახილველი საკითხები

- მოქმედების სფერო
- აღიარება
- შეფასება აღიარებისას
- თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება
- ცვლადი
- გაუფასურება
- აღიარების შეწყვეტა
- განმარტებითი შენიშვნები
- შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან

ძირითადი საშუალებები – მოქმედების სფერო

მე-17 განყოფილება ეხება:

- ძირითად საშუალებებს,
- ასევე ისეთ **საინვესტიციო ქონებას**, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შესაძლებელი არ არის ნებისმიერ დროს.

ძირითადი საშუალებები – მოქმედების სფერო

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჭარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებები – მოქმედების სფერო

ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში არ შედის:

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ბიოლოგიური აქტივები (იხ. 34-ე განყოფილება – „სპეციალიზებული საქმიანობა“); ან
- მინერალური რესურსების მოპოვების უფლებები და სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, როგორცაა ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვა მსგავსი არაკვლავწარმოებადი რესურსები.

მაგალითი – მოქმედების სფერო

10

1. საწარმო (მშობელი) ფლობს შენობას საოპერაციო იჭარით შვილობილი საწარმოსგან საიჭარო შემოსავლების მიღების მიზნით. შვილობილი საწარმო შენობას იყენებს საცალო მაღაზიად საკუთარი საქონლის რეალიზაციისთვის (მაგ.1).
2. საწარმომ დადო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ერთი გადახდით შეიძინა არსებული შენობა და იმ მიწის გამოყენების უფლება, რომელზეც ეს შენობა მდებარეობს (ამ იურისდიქციაში მიწის თავისუფალი ფლობა არ არის შესაძლებელი). შენობა დაკავებულია საწარმოს ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. ამ მიწის მიმდინარე წლიური ქირა ნომინალურია (მაგ.6).
3. საწარმო ფლობს მსხვილფეხა საქონლის ჯოგს, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში სანაშენე პროდუქციის წარმოებისთვის გამოიყენება. საწარმო ასევე ფლობს ტრაქტორს და ტრეილერს, რასაც იყენებს საქონლის საკვების ტრანსპორტირებისთვის (მაგ.9).
4. საწარმომ მიიღო დიდ ქალაქში ტაქსის მართვის ლიცენზია (მაგ.10).

პასუხი – მოქმედების სფერო

1. მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შენობა კლასიფიცირდება ძირითად საშუალებად. მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შენობა კლასიფიცირდება საინვესტიციო ქონებად (მაგ.1).
2. აქტივი (ან აქტივები) აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალებები, თუ შეთანხმება ჩაითვლება ფინანსურ იჯარად (სავარაუდოდ დამატებითი განმარტებითი შენიშვნებით, როგორც მოითხოვება მე-20 განყოფილებით - „იჯარა“) ან შინაარსის მიხედვით შეძენად. თუ რომელიმე ელემენტი საოპერაციო იჯარად შეფასდება, მაშინ ამ ელემენტისთვის აქტივი არ აღიარდება, გარდა წინასწარ გადახდილი ქირისა (მაგ.6).
3. მსხვილფეხა საქონელი - მატერიალური აქტივები, გამოიყენებიან სანაშენოდ ერთზე მეტი საანგარიშგებო წლის განმავლობაში - ბიოლოგიური აქტივები (მაგ.9).
4. არამატერიალური აქტივი (მაგ.10).

ძირითადი საშუალებები – აღიარება

12

საწარმომ ძირითადი საშუალებების ღირებულება უნდა აღიაროს აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები – აღიარება

13

- **სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობები** აღიარდება ძირითად საშუალებებად, თუ აკმაყოფილებს განმარტებას.
- **ელემენტის შეცვლა:** თუ საწარმო მომავალში მიიღებს დამატებით ეკონომიკურ სარგებელს, მან ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას უნდა დაამატოს შემცვლელი ნაწილის ღირებულება. შეცვლილი ნაწილების საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება 17.27-17.30 პუნქტების შესაბამისად (ჩანაცვლების ღირებულება = შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება).
- **სრულმასშტაბიანი შემოწმება:** შესაბამისი დანახარჯები აღიარდება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში, როგორც შეცვლა, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს.
- მიწა და შენობა-ნაგებობები ცალ-ცალკე უნდა აღირიცხოს.

მაგალითი – ტექნიკური შემოწმება, რომელიც წარმოადგენს აქტივის ექსპლუატაციის პირობას

- საწარმო, რომელიც საქმიანობს პირველი კლასის საავიაციო მომსახურების სფეროში, ვალდებულია ყოველ 2 წელიწადში ეროვნულ საავიაციო ორგანოებს თავისი რეაქტიული თვითმფრინავების დეფექტების გამოსავლენად ჩატარებინოს ტექნიკური შემოწმება. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შუაში ჩატარდა ტექნიკური შემოწმება 20,000 ფე-ის დანახარჯებით (მაგ.16).

პასუხი – ტექნიკური შემოწმება, რომელიც წარმოადგენს აქტივის ექსპლუატაციის პირობას

- საწარმო აღიარებს 20,000 ფე-ის ღირებულების აქტივს (ძირითადი საშუალებები) ტექნიკური შემოწმებისათვის. ტექნიკური შემოწმებისთვის გამოყოფილი აქტივი უნდა აღიარდეს, როგორც ხარჯი (ცვეთა) მოგებაში ან ზარალში თანაბრად, წინასწარ შეფასებული 2 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (ე.ი. 5,000 ფე ხარჯი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში).
- ტექნიკური შემოწმებისთვის გამოყოფილი აქტივი სრულად იქნება გაცვეთილი შემდეგი შემოწმების თარიღისთვის. შედეგად, აღარ დარჩება ღირებულება, რომლის აღიარების შეწყვეტა იქნება საჭირო (მაგ.16).

ძირითადი საშუალებები – შეფასება აღიარებისას

- თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს თვითღირებულებით;

თვითღირებულების კომპონენტები:

- **ნასყიდობის ფასი**, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

თვითღირებულების კომპონენტები

- ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც **პირდაპირ დაკავშირებულია** აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- აქტივის **დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის** დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან.

თვითღირებულების კომპონენტები არ არის:

- ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარტები;
- ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარტები (მათ შორის, სარეკლამო და სტიმულირების დანახარტები);
- დანახარტები, რომლებიც დაკავშირებულია ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კატეგორიასთან კომერციული საქმიანობის წარმოებასთან (პერსონალის სწავლების დანახარტების ჩათვლით);
- ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები დანახარტები; და
- ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარტები (25-ე განყოფილება).

მაგალითი – შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

- (მაგ.17) 20X1 წლის 1 იანვარს საწარმომ შეიძინა მოწყობილობა 600,000 ფე-ად, რომელიც მოიცავდა შესყიდვის დაბრუნებად გადასახადს - 50,000 ფე-ს. აღნიშნული მოწყობილობის შესყიდვის ფასის დაფარვის მიზნით საწარმომ სესხის სახით აიღო 605,000 ფე. გარდა ამისა, სესხის აღების მომსახურების საფასურის სახით საწარმომ ბანკს უნდა გადაუხადოს 5,000 ფე. სესხის უბრუნველყოფა მოხდა შეძენილი მოწყობილობით.

აღწერა	გამოთვლა ან მიჯვავი	ფე
შესყიდვის ფასი	600,000 ფე-ს (შესყიდვის ფასი) გამოკლებული 50,000 ფე (შესყიდვის დაბრუნებადი გადასახადი)	550,000
სესხის აღების მომსახურების საფასური	ურთიერთგადაფარვა ვალდებულების შეფასების საპირისპიროდ	-

- 20X1 წლის იანვარში საწარმომ დახარჯა 20,000 ფე მოწყობილობის ადგილზე მისატანად და 100,000 ფე მის დასამონტაჟებლად. მოწყობილობის 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისას, საწარმოს ევალება მოწყობილობის დემონტაჟი და იმ შენობის აღდგენა, სადაც აღნიშნული მოწყობილობა იყო განთავსებული. მოწყობილობის დემონტაჟისა და შენობის აღდგენის ხარჯების დღევანდელი ღირებულება წინასწარი შეფასებით შეადგენს 100,000 ფე-ს.

აღწერა	გამოთვლა ან მიჯვავი	ფე
ტრანსპორტირების დანახარჯები	პირდაპირი დანახარჯები	20,000
დამონტაჟების ხარჯები	პირდაპირი დანახარჯები	100,000
გარემოს (ადგილის) აღდგენასთან დაკავშირებული დანახარჯები	მოწყობილობის დამონტაჟების შედეგად წარმოშობილი დემონტაჟისა და გარემოს (ადგილის) აღდგენის ვალდებულება	100,000

მაგალითი - გაბრძელება

20X1 წლის იანვარში პროდუქციის საწარმოებლად მოწყობილობის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოს ინჟინრებმა გასწიეს ქვემოთ ჩამოთვლილი ხარჯები:

- მასალები - 55,000 ფე
- შრომის ანაზღაურება - 65,000 ფე
- შეკეთების აღნიშნული პროცედურის განხორციელებისას გამოყენებული მანქანა-დანადგარების ცვეთა - 15,000 ფე

20X1 წლის იანვარში მოწყობილობის ახალი ერთეული გამოყენების შესწავლის მიზნით საწარმოს პერსონალი დატრენინგდა. ტრენინგის ხარჯები მოიცავს:

- ექსპერტ-ინსტრუქტორის ხარჯი - 7,000 ფე
- შრომის ანაზღაურება - 3,000 ფე

20X1 წლის თებერვალში საწარმოს ტექნიკურმა ჯგუფმა შეამოწმა მოწყობილობა და ინჟინერთა გუნდმა დანადგარს მოდიფიკაცია ჩაუტარა. მოწყობილობის შემოწმების ფაზაში გასწიეს ქვემოთ მოცემული ხარჯები:

- მასალები (ნარჩენების გაყიდვის შედეგად ანაზღაურდა 3,000 ფე) - 21,000 ფე
- შრომის ანაზღაურება - 16,000 ფე

მოწყობილობა გამოსაყენებლად მზად იყო 20X1 წლის 1 მარტს. თუმცა, საწყის ეტაპზე შეკვეთების დაბალი რიცხვის გამო, საწარმომ მარტის განმავლობაში მიიღო 23,000 ფე-ის ღირებულების ზარალი მოწყობილობის გამოყენებაზე. ამის შემდეგ კი საწარმო მოწყობილობის გამოყენებით მოგებას იღებდა.

აღწერა	გამოთვლა ან მიჯნა	ფე
მომზადების დანახარჯები	მასალები (55,000 ფე) - შრომის ანაზღაურება (65,000 ფე) + ცვეთა (15,000 ფე)	135,000
ტრენინგის ხარჯები	აღიარებულია ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში	-
შემოწმების ხარჯები	21,000 ფე მასალები (ნარჩენების გაყიდვის შედეგად ანაზღაურდა 3,000 ფე) + 16,000 ფე შრომის ანაზღაურება	37,000
მოწყობილობის თვითღირებულება		942,000

თვითღირებულების განსაზღვრა

- ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით.
- თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ ძირითადი საშუალების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

აქტივების გაცვლა

შეძენა არაფულად აქტივზე ან აქტივებზე, ან ერთდროულად ფულად და არაფულად აქტივებზე გაცვლით.

- საწარმომ შეძენილი აქტივი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:
 - გაცვლის ოპერაციას არ აქვს კომერციული შინაარსი, ან
 - შეუძლებელია როგორც მიღებული, ისე გადაცემული აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. ასეთ შემთხვევაში, აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

მაგალითი – აქტივების გაცვლა

23

- 20X1 წლის 1 იანვარს საწარმომ ძველი სატვირთო ავტომანქანა გაცვალა ნავზე.
- ძველი სატვირთოს საბალანსო ღირებულება შეადგენს 500,000 ფე-ს, მისი რეალური ღირებულება კი 750,000 ფე-ს.
- ნავის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და იგი შეადგენს 750,000 ფე-ს.
- გაცვლის ოპერაციას აქვს კომერციული შინაარსი.
- როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ძველი სატვირთოს ნავზე გაცვლის ოპერაცია? (მაგ. 19)

პასუხი – აქტივების გაცვლა

24

დბ	ძირითადი საშუალება (ნავი)	750,000 ფე
კრ	ძირითადი საშუალება (სატვირთო ავტომანქანა)	500,000 ფე
კრ	მოგება ან ზარალი	250,000 ფე

20X1 წლის 1 იანვარს შესრულებული გაცვლის ოპერაციის ჩანაწერი (ძველი სატვირთო ავტომანქანის ნავზე გაცვლა).

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება

- **თვითღირებულების** მოდელი, ან **გადაფასების მოდელი** (და შერჩეული პოლიტიკა გამოიყენოს ძირითადი საშუალებების მთელი კლასის მიმართ).
- საწარმომ თვითღირებულების მოდელი უნდა გამოიყენოს ისეთი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.
- საწარმომ ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯები უნდა აღიაროს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

თვითღირებულების მოდელი

26

- თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

მაგალიტი – თვითღირებულების მოდელი

- 20X1 წლის 31 დეკემბერს, საწარმო ფლობს დანადგარს, რომლის თავდაპირველი თვითღირებულება შეადგენს 500,000 ფე-ს, ხოლო დაგროვილი ცვეთა - 80,000 ფე-ს. საწარმომ დაადგინა, რომ დანადგარის დაზიანების გამო, აუცილებელია მასზე გაუფასურების დარიცხვა 120,000 ფე-ის ოდენობით.
- საწარმო მის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების მიმართ იყენებს თვითღირებულების მოდელს.
- რამდენს შეადგენს დანადგარის საბალანსო ღირებულება 20X1 წლის 31 დეკემბერს? (მაგ.20)

	ფე
თვითღირებულება	500,000
დაგროვილი ცვეთა	(80,000)
გაუფასურებამდე არსებული საბალანსო ღირებულება	420,000
გაუფასურების თანხა	(120,000)
საბალანსო ღირებულება	300,000

გადაფასების მოდელი

- ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, საწარმომ უნდა ასახოს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.
- გადაფასება **საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს**, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
- როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, **მთლიანად** უნდა გადაფასდეს ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება.

გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება

29

- ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდოს „გადაფასების ნამეტი“.
- თუმცა, მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს გადაფასებიდან მიღებული ნამეტი თანხა იმ ოდენობით, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა.

მაგალიტი - გადაფასების მოდელი

30

- 20X1 წლის 1 იანვარს, საწარმომ შეიძინა მიწის ნაკვეთი 500,000 ფე-ად. 20X1 წლის 31 დეკემბერს, მიწა შეფასდა 600,000 ფე-ად. საწარმო იყენებს გადაფასების მოდელს მის მფლობელობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების მიმართ.
- როგორ უნდა ასახოს საწარმომ მიწის ღირებულების ზრდა 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის? (მაგ.21)
- შენიშვნა: უგულებელვყოთ გადავადებული გადასახადი

დბ	მიწა	100,000 ფე ^(ა)
	კრ სხვა სრული შემოსავალი - გადაფასების თანხა ^(ბ)	100,000 ფე
<i>20X1 წლის 31 დეკემბრისთვის მიწის რეალური ღირებულების ზრდის ჩანაწერი</i>		

^(ა) გადაფასების ნამეტი 600,000 ფე – 500,000 ფე = 100,000 ფე.

^(ბ) სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხის ოდენობა გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით (იხ. პუნქტი 17.15გ)

გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება

- შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს.
- თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში უნდა აღიარდეს გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ პოზიციაში დაგროვილ თანხას.

მაგალითი - გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა

- ყველა მონაცემი წინა მაგალითის მონაცემების იდენტურია. 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის მიწა შეფასდა 300,000 ფე-ად. მიწა გაუფასურებული არაა, ვინაიდან მისი გამოყენების ღირებულება მის რეალურ ღირებულებაზე მეტია.
- როგორ უნდა ასახოს საწარმომ მიწის გადაფასება 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის? (მაგ.22)
- შენიშვნა: უგულებელვყოთ გადავადებული გადასახადი

20X2 წლის 31 დეკემბერი

დბ	სხვა სრული შემოსავალი - გადაფასების თანხა ^(ა)	100,000 ფე ^(ა)	
დბ	მოგება ან ზარალი - გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა	200,000 ფე ^(ბ)	
	კრ მიწა		300,000 ფე
20X2 წლის 31 დეკემბერს მიწის რეალური ღირებულების შემცირების ჩანაწერი			

^(ა) 100,000 ფე აკომპენსირებს ადრინდელი გადაფასების ნამეტს, რომელიც აღიარდა 20X1 წლის 31 დეკემბერს. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის = 600,000 ფე - 300,000 ფე = 300,000 ფე.

^(ბ) დეფიციტის მეტობა ადრე აღიარებული გადაფასების ნამეტზე = 300,000 ფე - 100,000 ფე = 200,000 ფე. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს იმ თანხის ოდენობას, რომელიც ^(ა) დაგროვდა საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით (იხ. პუნქტი 17.15დ).

- თუ ძირითადი საშუალების მთავარი კომპონენტებისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური სარგებლის მოხმარების **მნიშვნელოვნად განსხვავებული წესი**, საწარმომ ასეთ აქტივთან დაკავშირებით თავდაპირველად აღიარებული ღირებულება უნდა გაანაწილოს მის მთავარ კომპონენტებზე და თითოეულ ასეთ ნაწილს **ცალ-ცალკე** დაარიცხოს ცვეთა, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.
- დანარჩენ აქტივებს ცვეთა მათი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით ისე უნდა დაერიცხოს, როგორც ერთ აქტივს.
- მიწას - განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა - არ დაერიცხება ცვეთა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როგორცაა, მაგალითად კარიერები და ნაგავსაყრელად გამოყენებული ადგილები.
- ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი უნდა აღიარდეს **მოგებაში ან ზარალში**, თუ წინამდებარე სტანდარტის სხვა განყოფილებით არ მოითხოვება ამ დანახარჯის აღიარება რომელიმე აქტივის თვითღირებულებაში.
- საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

- აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.
- აქტივზე ცვეთის დარიცხვა **წყდება** მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.
- აქტივზე ცვეთის დარიცხვა **არ წყდება** იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივი მოცდენილია, ან გამოსულია აქტიური მოხმარებიდან, თუ აქტივზე სრულად არ არის დარიცხული ცვეთა.
- თუმცა, პრაქტიკაში გამოყენებული ცვეთის მეთოდების შესაბამისად, ცვეთის ხარჯი შეიძლება ნული იყოს, თუ აქტივი არ მონაწილეობს წარმოების პროცესში.

მაგალითი – ცვეთის გადასინჯული შეფასება

35

- 20X1 წლის 1 იანვარს საწარმომ შეიძინა მანქანა-დანადგარი 500,000 ფე-ად. საწარმო აღნიშნულ მანქანა-დანადგარს აღრიცხავს **თვითღირებულების მოდელის** გამოყენებით. ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასებით დანადგარის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენდა **20 წელს**, ხოლო მისი ნარჩენი ღირებულება **წულს**. ცვეთის მეთოდი: წრფივი.
- 20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს, მანქანა-დანადგართან დაკავშირებით საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასება შეიცვალა. მათი შეფასებით, ახლა დანადგარის სასარგებლო მომსახურების ვადა უტოლდება 25 წელს (შეძენის თარიღიდან), ხოლო მისი ნარჩენი ღირებულება 100,000 ფე-ს. ცვეთის მეთოდი: წრფივი.
- როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ მანქანა-დანადგართან დაკავშირებით გაკეთებული გადასინჯული შეფასება 20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს? (მაგ.30)

პასუხი – ცვეთის გადასინჯული შეფასება

დბ მოგება ან ზარალი - ცვეთის ხარჯი	14,286 ფე ^(ა)	
კრ დაგროვილი ცვეთა		14,286 ფე
<i>20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის არსებული ცვეთის ხარჯის ჩანაწერი.</i>		

- (ა) $(400,000^{(ბ)})$ ფე-ს გამოკლებული 100,000 ფე (ნარჩენი ღირებულება) ÷ 21 (მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა) = 14,286 ფე.
10.16 პუნქტის შესაბამისად, იმ საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული ცვეთა, როდესაც ცვლილება მოხდა (ე.ი. 20X5), ისევე როგორც შემდგომ პერიოდებში (დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა, რომელიც შეიცვალა) დარიცხული ცვეთა შესწორდება.
- (ბ) $500,000$ ფე (თვითღირებულება) გამოკლებული $[4$ წელი $\times 25,000^{(ბ)}$ ფე (დარიცხული წლიური ცვეთა)] = 400,000 ფე 20X5 წლის 1 იანვრისთვის (ე.ი. 20X4 წლის 31 დეკემბრისთვის) არსებული ნარჩენი საბალანსო ღირებულება.
- (ბ) თავდაპირველად დარიცხული წლიური ცვეთა = $500,000$ ფე ÷ 20 წელი = 25,000 ფე.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი:

- (ა) საწარმოს მიერ აქტივის **მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი** (დატვირთვა). აქტივის დატვირთვა შეფასდება აქტივის მოსალოდნელი სიმძლავრის ან ფიზიკური მწარმოებლურობის მიხედვით;
- (ბ) სავარაუდო **ფიზიკური ცვეთა**, რაც დამოკიდებულია ისეთ საწარმოო ფაქტორებზე, როგორცაა ცვლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც გამოყენებული იქნება აქტივი და საწარმოს სარემონტო სამუშაოებისა და მიმდინარე ტექნომსახურების გეგმა, ასევე აქტივის შენახვისა და ტექნომსახურების წესი მისი მოცდენის პერიოდში;
- (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც გამოწვეულია საწარმოო პროცესის ცვლილებით ან გაუმჯობესებით, ან ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით მოცემული აქტივის მეშვეობით წარმოებულ საქონელზე ან მომსახურებაზე;
- (დ) აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები, მაგალითად შესაბამისი იჯარის ვადის გასვლა.

მაგალითი – სასარგებლო მომსახურების ვადა

1. საწარმო, ანაზღაურების პაკეტის ნაწილის სახით, ყველა უფროს მენეჯერს ინდივიდუალური სარგებლობისთვის გადასცემს მათ მიერ შერჩეულ მდიდრულ ავტომობილს. **ყოველ ორ წელიწადში**, საწარმო ახლით ცვლის ძველ ძვირადღირებულ ავტომობილებს, მათი გამოყენების წესის მიუხედავად. საწარმო ყიდის და შემდეგ ანახლებს თავის ძვირადღირებულ ავტოპარკს ყოველ ორ წელიწადში, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია აღნიშნული ავტომობილების ეკონომიკური მიზნით გამოყენება, **ერთი ან მეტი მომხმარებლის მიერ**, კიდევ სულ მცირე **სამი წლის** განმავლობაში. (მაგ.32)
2. საწარმოს ის მოწყობილობა, რომელსაც იგი იყენებს დაპატენტებული მედიკამენტის საწარმოებლად, შესაძლებელია ექსპლუატაციაში იყოს **10 წლის** განმავლობაში. თუმცა, საწარმო აპირებს ამ მედიკამენტის წარმოების შეწყვეტას და შესაბამისად მოწყობილობის ექსპლუატაციიდან ამოღებას **5 წლის** შემდეგ, როდესაც მედიკამენტის პატენტის ვადა ამოიწურება, ხოლო მის ნაცვლად დაბალფასიანი უპატენტო მედიკამენტის წარმოება საწარმოსთვის არამომგებიანი გახდება. (მაგ.34)
3. საწარმო ფლობს ძირითადი საშუალების ერთეულის გამოყენების უფლებას ფინანსური იჯარის პირობით. აღნიშნული მოწყობილობის ფუნქციონირება შესაძლებელია **15 წლის** განმავლობაში. თუმცა, იჯარის ვადა შეადგენს **13 წელს** და საწარმო ვალდებულია აქტივი დაუბრუნოს მეიჯარეს იჯარის ვადის დასრულებისას. (მაგ.35)

- საწარმომ უნდა შეარჩიოს ცვეთის გაანგარიშების ისეთი მეთოდი, რომელიც ასახავს ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს საწარმოს მიერ.
- ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი.
- თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გააანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით.
- აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, 10.15–10.18 პუნქტების შესაბამისად.

მაგალიტი - ცვეთის მეთოდის ცვლილება

- 20X1 წლის 1 იანვარს საწარმომ შეიძინა მანქანა-დანადგარი 500,000 ფე-ად. ხელმძღვანელობის შეფასებით მისი ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია. 20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლის ბოლოს საწარმოს შეფასება აღნიშნული მანქანა-დანადგარის მიმართ შეიცვალა. საწარმომ ცვეთის გაანგარიშების კლასიკური ნაშთის მეთოდი (ცვეთის წლიური ნორმა - 8%) შეცვალა წრფივი მეთოდით (ცვეთის წლიური ნორმა - 6%), რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით წრფივი მეთოდი უკეთესად ასახავს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან დარჩენილი მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების წესს.
- როგორ უნდა ასახოს საწარმომ მანქანა-დანადგარის მიმართ შეცვლილი შეფასება 20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის? (მაგ.37)

დბ	მოგება ან ზარალი - ცვეთის ხარჯი	21,492 ფე ^(ა)
კრ	დაგროვილი ცვეთა	21,492 ფე

(ა)	358,196 ფე ^(ბ) x 6% = 21,492 ფე	
(ბ) წლის დასასრული	წლიური ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
20X1	(500,000) x 8% = 40,000	460,000 (500,000 - 40,000)
20X2	460,000 x 8% = 36,800	423,200 (460,000 - 36,800)
20X3	423,200 x 8% = 33,856	389,344 (423,200 - 33,856)
20X4	389,344 x 8% = 31,148	358,196 (389,344 - 31,148)

- გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა გამოიყენოს **27-ე განყოფილების** – „აქტივების გაუფასურება“ - მოთხოვნები, რათა განსაზღვროს, გაუფასურდა თუ არა ესა თუ ის ძირითადი საშუალება, ან ძირითადი საშუალებების ჯგუფი, ხოლო თუ გაუფასურებულია, როგორ უნდა აღიაროს და შეაფასოს გაუფასურების ზარალი.

- გაუფასურების კომპენსაცია

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან ძირითადი საშუალების დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, უნდა აისახოს **იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში**, როდესაც წარმოიშვა კომპენსაციის მიღების მოთხოვნა.

- გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალებები

27.9(ვ) პუნქტში აღნიშნულია, რომ აქტივის საწარმოდან გასვლა **იმაზე უფრო ადრე**, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო დაგეგმილი, მიანიშნებს ამ აქტივის გაუფასურებაზე. ამიტომ საწარმომ უნდა შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა დაადგინოს, გაუფასურებულია თუ არა ეს აქტივი.

მაგალითი – გაუფასურება

- **20X6 წლის 30 სექტემბერი:** ხანძრის შედეგად განადგურდა მანქანა-დანადგარი, საბალანსო ღირებულებით 500,000 ფე [თვითღირებულებას (600,000 ფე) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა (100,000 ფე)]. საწარმომ მაშინვე შეიტანა მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიაში მანქანა-დანადგარის შეცვლის ხარჯის (700,000 ფე) ანაზღაურებასთან დაკავშირებით. თუმცა, სადაზღვევო კომპანიამ საკითხის განხილვის შემდეგ მიიჩნია, რომ ზარალი საწარმოს დაუდევრობის შედეგი იყო.
- **20X6 წლის 15 ნოემბერი:** სახანძრო სამსახურმა დაასრულა გამოძიება და სადაზღვევო კომპანიასა და საწარმოს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხანძარი ელექტროსადენების დაზიანებამ გამოიწვია. ამ დასკვნის შემდეგ, სადაზღვევო კომპანიამ აცნობა საწარმოს, რომ მის მიერ მოთხოვნილი 700,000 ფე სრულად ანაზღაურდებოდა.
- **20X6 წლის 30 ნოემბერი:** სადაზღვევო კომპანიამ საწარმოს 700,000 ფე გადაუხადა.
- **20X6 წლის 15 დეკემბერი:** საწარმომ აღნიშნული თანხით (700,000 ფე) შეიძინა ჩამნაცვლებელი მანქანა-დანადგარი, რომელიც მაშინვე დამონტაჟდა და მომზადდა გამოსაყენებლად.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ მანქანა-დანადგარი 20X6 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის? (მაგ.39)

პასუხი – გაუფასურება

43

20X6 წლის 30 სექტემბერი

დბ	მოგება ან ზარალი - მანქანა-დანადგარის გაუფასურება	500,000 ფე	
კრ	დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება (მანქანა-დანადგარის)		500,000 ფე
<i>ხანძრის შედეგად განადგურებული მანქანა-დანადგარის გაუფასურების ჩანაწერი</i>			
დბ	დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება (მანქანა-დანადგარის)	600,000 ფე	
კრ	ქარხანა (პირვანდელი ღირებულება)		600,000 ფე
<i>ხანძრის შედეგად განადგურებული მანქანა-დანადგარის აღიარების შეწყვეტის ჩანაწერი.</i>			

20X6 წლის 15 ნოემბერი

დბ	მოთხოვნა	700,000 ფე	
კრ	მოგება ან ზარალი - სადაზღვევო კომპენსაცია		700,000 ფე
<i>ხანძრის შედეგად განადგურებულ მანქანა-დანადგართან დაკავშირებით სადაზღვევო კომპანიისგან მისაღები კომპენსაციის ჩანაწერი</i>			

20X6 წლის 30 ნოემბერი

დბ	ფულადი სახსრები	700,000 ფე	
კრ	მოთხოვნა		700,000 ფე
<i>ხანძრის შედეგად განადგურებულ მანქანა-დანადგართან დაკავშირებით სადაზღვევო კომპანიისგან მიღებული კომპენსაციის ჩანაწერი</i>			

20X6 წლის 15 დეკემბერი

დბ	ძირითადი საშუალება (მანქანა-დანადგარი, თვითღირებულება)	700,000 ფე	
კრ	ფულადი სახსრები		700,000 ფე
<i>ახალი მანქანა დანადგარის შეძენის ჩანაწერი</i>			

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს:

- გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში).

- საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

- აქტივის გასვლის თარიღის დასადგენად საწარმომ უნდა გამოიყენოს საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარებისთვის დადგენილი კრიტერიუმები, რომლებიც ჩამოყალიბებულია 23-ე განყოფილებაში - „ამონაგები“. მე-20 განყოფილება ეხება აქტივის გასვლას უკუიჭარის პირობით გაყიდვის გზით.
- საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განსაზღვროს, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

მაგალითი - აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი

- 20X5 წლის 1 ნოემბერს საწარმომ გაყიდა მესაკუთრის მიერ დაკავებული შენობა 3.5 მილიონ ფე-ად. საწარმო შენობას აღრიცხავდა **გადაფასების მოდელის** გამოყენებით. შენობის გასვლის თარიღისთვის მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 3 მილიონ ფე-ს. უძრავი ქონების აგენტმა საკომისიოდ მიიღო აქტივის გაყიდვიდან მიღებული **შემოსავლის 10%**. გაყიდვასთან დაკავშირებული იურიდიული მომსახურების გადასახადის ოდენობა შეადგენდა **10,000 ფე-ს** (მაგ.45).
- **გამოთვლა:** წმინდა გასვლის ამონაგები = 3,500,000 ფე - 350,000 ფე - 10,000 ფე = 3,140,000 ფე.
- წმინდა გასვლის ამონაგებს (3,140,000 ფე) - ნარჩენი საბალანსო ღირებულება (3,000,000 ფე) = შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა (140,000 ფე).
- 20X5 წლის 1 ნოემბერს საწარმომ შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა (140,000 ფე) უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში.
- *საწარმომ შესაძლოა ამჯობინოს ამ ქონების გადაფასების ნამეტის მუხლში არსებული ნაშთი გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ან სხვა რეზერვში. თუ საწარმო აღნიშნულ ნაშთს გადაიტანს გაუნაწილებელი მოგების მუხლში, გაუნაწილებელ მოგებაში არსებული ნაშთი იგივე იქნება, რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საწარმო შენობის აღრიცხვისთვის თვითღირებულების მოდელს გამოიყენებდა.*

საწარმომ ძირითადი საშუალებების თითოეული კლასისთვის, რომელიც განსაზღვრა 4.11(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად და ასევე ცალკე საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- პირვანდელი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების საფუძველი;
- გამოყენებული ცვეთის მეთოდები;
- სასარგებლო მომსახურების ვადები ან გამოყენებული ცვეთის ნორმები;
- პირვანდელი ღირებულება და დაგროვილი ცვეთა (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის; და
- საანგარიშგებო პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ძირითადი საშუალებების საკუთრების უფლებაზე შეზღუდვების არსებობის ფაქტები და ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები, ასევე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძირითადი საშუალებების არსებობის ფაქტები და მათი საბალანსო ღირებულებები;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხა, რომლებიც ეხება ძირითადი საშუალებების შეძენას; და
- თუ საწარმოს აქვს საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, მან უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი და ასევე მიზეზები, რის გამოც მოცემული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასებას სჭირდება მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა.

განმარტებითი შენიშვნები

როდესაც ძირითადი საშუალებები ასახულია **გადაფასებული ღირებულებით**, უნდა გამჟღავნდეს შემდეგი ინფორმაცია:

- გადაფასების თარიღი;
- მოწვეული იყო თუ არა დამოუკიდებელი შემფასებელი;
- მეთოდები და მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც გამოყენებული იყო ამ ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების შესაფასებლად;
- ძირითადი საშუალებების თითოეული გადაფასებული კლასისთვის საბალანსო ღირებულება, რომელიც აღიარდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტივები აისახებოდა თვითღირებულების მოდელით; და
- გადაფასებით მიღებული ნამეტი თანხა, პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებისა და აქციონერებზე ამ ნაშთის განაწილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვის მითითებით.

შეღარება სრულ ფასს-თან

საკითხი	ფასს სტანდარტების სრული ვერსია	მსს ფასს სტანდარტი
ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის მეთოდის გადასინჯვა	ყოველწლიურად	საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გასული წლის საანგარიშგებო თარიღის შემდეგ
საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი, როდესაც წყდება აქტივის აღიარება	შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე	მითითებებს არ იძლევა
ერთი კლასის ძირითადი საშუალებების გადაფასება ერთდროულად უნდა მოხდეს	რათა თავიდან იქნეს აცილებული აქტივების შერჩევითი გადაფასება და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში განსხვავებული თარიღებისათვის შეფასებული დანახარჯებისა და ღირებულებების ერთმანეთში არევა	მითითებებს არ იძლევა
განსაკუთრებული აქტივის შექმნასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები	უნდა აღირიცხოს აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში	მათი გაწვევისთანავე ხარჯად უნდა აღიარდეს
რეალური ღირებულება უნდა იქნეს გამოყენებული აქტივების გაცვლასთან დაკავშირებით	თუ საწარმოს შეუძლია, საიმედოდ განსაზღვროს მიღებული ან გაცემული აქტივის რეალური ღირებულება, მაშინ მიღებული აქტივის თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება გაცემული აქტივის რეალური ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებული აქტივის რეალური ღირებულება უფრო ბუსტად არის გამოხატული	ბუსტად არ განსაზღვრავს თუ რომელი აქტივის რეალური ღირებულება უნდა იქნეს გამოყენებული შექმნილი აქტივის თვითღირებულების განსაზღვრისას
გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივებს	ცვეთა არ ერიცხება (ფასს 5)	გრძელდება აქტივზე ცვეთის დარიცხვა